# ნიუსლეთერი | მაისი

## 24 მაისის საბჭოს სხდომა

**24 მაისს** საბჭოს სხდომა გაიმართა. სხდომაზე სამოქმედო გეგმა 2021-ით გათვალისწინებული აქტივობის შესაბამისად, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კონცეფციის სამუშაო ჯგუფი დამტკიცდა. სხდომის ფარგლებში საბჭოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს უფროსმა, მაკა ფერაძემ გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის წლიური ანგარიში წარუდგინა.

## მემორანდუმი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოსთან

**21 მაისს** გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოსა და აჭარი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს შორის ურთიერთთანმშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმი მიზნად საბჭოებს შორის თანამშრომლობის ინსტიტუციური მექანიზმის გაძლიერებასა და გაღრმავებას ისახავს მიზნად.

ადგილობრივ გენდერული თანასწორობის საბჭოებსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი გენდერული თანასწორობის საბჭოსთან ურთირთობის გაღრმავება საბჭოს 2021 წლის გეგმით ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

## შეხვედრა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან

**20 მაისს** გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარე, ნინო წილოსანი UN Women ექსპერტებთან ერთად ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრა მიზნად ისახავდა ქალთა მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის დანაშაულებებზე სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის მიმართულებით არსებული გამოწვევების მიმოხილვას.

## სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება

მაისის თვეში საბჭო აქტიურად განაგრძობს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების იმპლემენტაციას. კერძოდ: დაიწყო მუშაობა თემატური მოკვლევების განხორციელებაზე, განხორციელებული თემატური მოკვლევების შესრულების მონიტორინგსა და გენდერული გავლენის შეფასების მხარდაჭერაზე. აღნიშნულ პროცესებში საბჭოს მხარდაჭერას დონორი ორგანიზაციები უწევენ.